აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 39

01/10/2024 ქ. ბათუმი

**„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების „ქართული ოცნებადემოკრატიული საქართველო“ და მისი წარმომადგენლების რეგისტრაციაში გატარების შესახებ“ უსკოს თავმჯდომარის 2024 წლის 29 აგვისტოს №3 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ**

საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლის, 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ და მისი წარმომადგენლების რეგისტრაციაში გატარების შესახებ“ უსკოს თავმჯდომარის 2024 წლის 29 აგვისტოს №3 განკარგულების, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის საარჩევნო სუბიექტის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ წარმომადგენლის რეგისტრაციაში გატარების შესახებ“ უსკოს თავმჯდომარის 2024 წლის 26 სექტემბრის №24 განკარგულების და საარჩევნო სუბიექტის თავმჯდომარის მიერ 2024 წლის 29 სექტემბრის №155/01/2024 (უსკოში რეგისტრაციის №01-26/114) განცხადების საფუძველზე, **ვადგენ:**

**1.** „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ და მისი წარმომადგენლების რეგისტრაციაში გატარების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2024 წლის 29 აგვისტოს №3 განკარგულებაში შეტანილი იქნეს შემდეგი სახის ცვლილებები.

ა) განკარგულების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების „ქართული ოცნება“ და მისი წარმომადგენლების რეგისტრაციაში გატარების შესახებ“**

ბ) განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„1.** აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის რეგისტრაციაში გატარდეს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება **„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“** (შემოკლებული დასახელება: **მპგ „ქართული ოცნება“ საარჩევნო სახელწოდებით: „ქართული ოცნება“** და მისი წარმომადგენლები **პარმენ მგელაძე და ვაჟა მეგრელიძე.“.**

**2.** ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

**3.** ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პარმენ ჯალაღონია
თავმჯდომარე